Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#20, ივლისი, 2022

„3+3 ფორმატი - საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები“

ნიკოლოზ მახარობლიშვილი

თორნიკე ყრუაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tornike.kruashvili883@sps.tsu.edu.ge

E-mail: nika.maxaroblishvili376@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

წარმოდგენილი თემა ეხება ჩვენს თანამედროვეობაში ერთ-ერთ საკმაოდ მწვავე და აქტუალურ საკითხს, როგორიცაა 3+3 ფორმატი და საქართველო. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ საკითხი არ კარგავს აქტუალობასა და მნიშვნელობას, ვინაიდან ის დაკავშირებულია ისეთ სახელმწიფოებთან, როგორებიცაა: რუსეთი, ირანი, თურქეთი და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. 2021 წლიდან მოყოლებული დღემდე საკითხის მნიშვნელობა აღნიშნულ სახელმწიფოებში არათუ მცირდება, არამედ მუდმივად იზრდება.

სამხრეთ კავკასია უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და სტრატეგიული ეკონომიკური მდგომაროების გამო უძველესი დროიდან წარმოადგენდა რეგიონს, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოებისა და იმპერიების ინტერესთა გადაკვეთის წერტილი იყო. კონფლიქტებით დახუნძლული სამხრეთ კავკასიის რეგიონალური თანამშრომლობის ახალი ფორმატის შექმნის მცდელობას საკმაოდ მდიდარი ისტორია გააჩნია, თუმცა ისინი პოლიტიკური განცხადებების ფორმატს არ გასცდნენ და ბუნებრივია, რომ საქმე მათ განხორციელებამდე არასდროს მისულა.

მოცემულ ნაშრომში მოკლე ისტორიული რაკურსის წარმოდგენით განხილული იქნება, თუ რას გულისხმობს 3+3 ფორმატი, რა იყო შექმნის მოტივი, მიზანი და გეგმები.

საკითხზე მსჯელობისას მთავარი ადგილი ეთმობა საქართველოსა და მის პოზიციას 3+3 ფორმატის მიმართ. ნაშრომი ძირითადად ორიენტირებულია 3+3 ფორმატის ფარგლებში საქართველოსა და რუსეთის ურთიერდამოკიდებულებაზე, მისწრაფებებსა და ინტერესებზე. გარდა ავტორების ვარაუდებისა და მოსაზრებებისა, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება დარგის ექსპერტების მოსაზრებები და შეფასებები 3+3 ფორმატთან დაკავშირებით. ეს ყოველივე საშუალებას მოგვცემს ნათლად წარმოჩნდეს აღნიშნული ფორმატის არსი და საქართველოს ოფიციალური პოზიცია მის მიმართ.

გარდა ამ ყველაფრისა, ნაშრომის ფარგლებში განისაზღვრება ვარაუდები იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლო ან საზიანო იქნებოდა საქართველოს გაწევრიანება 3+3 ფორმატში, ამასთანავე გაანალიზებული იქნება ყველა ის სავარაუდო ნაბიჯი რუსეთის მხრიდან, რომელიც მოჰყვებოდა საქართველოს გაწევრიანებას აღნიშნულ პროგრამაში.

საკვანძო სიტყვები: 3+3 ფორმატი, გამოწვევები, სამხრეთ კავკასია, საქართველო, რუსეთი, გაწევრიანება.

შესავალი

თავდაპირველად, აღნიშნული პროექტის მსგავსი ფორმატის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში წარმოიშვა. ფორმატი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისა და რუსეთის თანამშრომლობას გულისხმობდა, თუმცა არა ირანის ჩართულობას. 12 წლის შემდეგ გაჩნდა ფორმატის ახალი იდეა, რომელიც ირანის გაწევრიანებასაც გულისხმობდა.

3+3 ფორმატის შექმნის ახალი იდეა თურქეთის პრეზიდენტს, რეჯეფ ტაიპ ერდოღანს ეკუთვნის. აღნიშნული ინიციატივა 2020 წელს, მთიან ყარაბაღში კონფლიქტის დეესკალაციისა და ახალი შეთანხმების შემდეგ ჩაისახა (Hurriyet daily news, 2021). იგი ითვალისწინებს ექვსეულის პლატფორმის შექმნას ირანის, თურქეთის, რუსეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კოოპერაციის სახით, რაც, მათივე მტკიცებით, მთელი მსოფლიოს სტაბილურობისა და განვითარებისთვის იქნებოდა ხელსაყრელი.

წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან შემუშავდა 3+3 ფორმატის ოფიციალური მიზნები და შექმნის მოტივები, მათ შორისაა:

- კავკასიის რეგიონში მტკიცე მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ჩამოყალიბება

ექვსეულის ფორმატის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა კავკასიის რეგიონში პროექტში მონაწილე სახელმწიფოების თაოსნობით მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება.

- რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური საკითხების მოგვარება;

3+3 ფორმატის კიდევ ერთ მიზანი კავკასიის მასშტაბით არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობის შემცირება და არსებული პრობლემების აღმოფხვრა იყო. განსაკუთრებით ეს ეხებოდა მთიანი ყარაბაღის რეგიონსა და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობას.

- კავკასიის მასშტაბით სატრანსპორტო გზებისა და ეკონომიკური ურთიერთობების სრული აღდგენა;

3+3 ფორმატის შექმნის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი და ინტერესი სწორედ კავკასიაში სატრანსპორტო და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა გახლდათ. ამას დაუფარავად აცხადებდნენ რუსეთის, თურქეთისა და ირანის ლიდერები. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი არა ერთხელ დააფიქსირა მზადყოფნა კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც, სატრანსპორტო პოლიტიკის განახლებასთან დაკავშირებით (Coffey, 2021).

თემის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მეორეული წყაროების გაანალიზების საფუძველზე, გამოვკვეთეთ 3+3 ფორმატის მსხვილი პოლიტიკური აქტორების ინტერესები, საქართველოს დამოკიდებულება, გავრცელებული პოზიციები აღნიშნულ ფორმატთან დაკავშირებით და რუსეთის რეალური მისწრაფებები საქართველოს ჭრილში.

3+3 ფორმატის ფორმირების პროცესი დღესაც მიმდინარეობს, რაც საკითხს კვლავ უნარჩუნებს აქტუალობას და სიმწვავეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოფიციალურმა თბილისმა არა ერთხელ განაცხადა უარი ფორმატში მონაწილეობაზე, თუმცა რუსეთი მუდმივად ცდილობს უხეშად ჩაერიოს საქართველოს პოზიციაში და შეცვალოს იგი. ფორმატის კონტექსტის გათვალისწინებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორებს. სწორედ ამასთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტებში არსებობს მოსაზრება - 3+5 ფორმატთან დაკავშირებით, რაც ევროკავშირისა და აშშ-ის პროექტში დამატებას გულისხმობს. ამდენად, აღნიშნული ფორმატი შედარებით ხელსაყრელი იქნება საქართველოსთვის, ვინაიდან მას მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობისას ზურგს დასავლეთი გაუმაგრებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

3+3 ფორმატისა და ზოგადად რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია შევეხოთ კავკასიის რეგიონს, როგორც უდიდეს გეოპოლიტიკურ სივრცეს. „ორი კონტინენტის საერთო წერტილზე მდებარეობისა და სამი დიდი ძალის მქონე სახელმწიფოს - რუსეთის, თურქეთისა და ირანის მოსაზღვრეობის გამო კავკასია რჩება მნიშვნელოვან რეგიონად პოსტსაბჭოთა პერიოდში“ - ვკითხულობთ ამერიკელი პროფესორისა და ატლანტიკის საბჭოს წევრის, ბრენდა შაფერის ნაშრომში „კავკასიის გეოპოლიტიკა“. შაფერი ყურადღებას ამახვილებს კავკასიაზე, როგორც არაერთი საერთაშორისო აქტორის გადაკვეთის წერტილზე, მათ შორის, აშშ-ის როლსა და რუსეთის ფაქტორზე (Shaffer, 2009).

აზერბაიჯანელი პოლიტიკოსის, ელმან ნასიროვის ნაშრომი „სამხრეთ კავკასია, როგორც ნატოსა და რუსეთის პლაცდარმი“ ზედმიწევნით აღწერს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი რეგიონია კავკასია, როგორც რუსეთისთვის, ასევე ნატოსთვის. იგი ყურადღებას ამახვილებს სამხრეთ კავკასიაზე და გამოკვეთს ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ნატოს რეგიონში ჩართულობის ზრდის პარალელურად იზრდება რუსეთის ინტერესებიც. ავტორი გამოკვეთს კავკასიის, როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფანის როლს, რაც კიდევ უფრო ზრდის მის გეოპოლიტიკურ წონას მსოფლიოში (Iskandarov, Nasirov, Sadiyev, 2017).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კავკასიის რეგიონს ახსოვს არაერთი გაერთიანება, თუ ბლოკი რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც თავისთავად, კავკასიის უდიდეს პოლიტიკურ დატვირთვას უსვამს ხაზს. პოლონელ-ამერიკელი პოლიტოლოგის, ზ. ბჟეზინსკის ცნობილი ნაშრომიც „დიდი საჭადრაკო დაფა“ მკაფიოდ ასახავს კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასა და ზესახელმწიფოების ინტერესებს. იგი ამ რეგიონს საჭადრაკო დაფასაც ადარებს, რომელზეც დომინირება რუსეთს განსაკუთრებულად სურს. ცნობილი პოლიტოლოგი თავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს აშშ-ის მისწრაფებებზე კავკასიის რეგიონის მიმართ, რაც კვლავ რეგიონის უდიდეს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს (ბჟეზინსკი, 2014).

განსხვავებული არგუმენტები არსებობს იმის შესახებ , თუ რეალურად რა არის 3+3 ფორმატი და სინამდვილეში რა ინტერესები ამოძრავებთ წევრ-სახელმწიფოებს. პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი

საგარეო ურთიერთობების საკითხში, თვლის რომ 3+3 ფორმატი არის იმიტაცია საერთაშორისო საზოგადოებისთვის, თითქოს ის მართლაც არსებობს. 3+2 ფორმატის მოცულობა მისთვის ინტერესის სფეროში არ შედის, რადგან მის ამოცანას წარმაოდგენს, აჩვენოს, რომ სამხრეთ კავკასიაში ის ფლობს და აწესრიგებს სიტუაციას, რომ რუსეთის ფედერაცია, ირანი და თურქეთი წყვეტს კავკასიის ბედს, სადაც არავითარი კავშირი არ გააჩნია აშშ-ს ან თუნდაც ევროკავშირს (Accent news, 2021).

,,საგარეო საკითხებში გამოყოფილია 3+3 ფორმატიც, რომელიც ინდექსის თანახმად, ახალ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს''- ვკითხულობთ საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელის, კორნელი კაკაჩიას ანგარიშში , რომელიც საქართველოს მმართველობის ინდექსს ეხება. ანგარიშში საუბარია იმის შესახებ, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და შიდაპოლიტიკური თუ ეკონომიკური წესრიგის უმთავრეს საფრთხედ კვლავ ჩვენი მეზობელი სახელმწიფო, კერძოდ, რუსეთი მოიაზრება. განხილულია რუსეთთან სამომავლო ურთიერთობის საკითხი და ყურადღება გამახვილებულია დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ომის მიმართ. 3+3 ფორმატმა კი კიდევ ერთი სახიფათო და რეგიონალურად დიდი საფრთხე წარმოშვა საქართველოსთვის (პერტაია, 2021).

ძალზე საინტერესოა ნინო სამხარაძის სტატია აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით, სახელწოდებით: ,,3+3 ერთის გარეშე: საქართველოს სამხრეთ კავკასიური გამოწვევები და პერსპექტივები'', სადაც განიხილავს 3+2 ფორმატის მნიშვნელობასა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიმართულების ხასიათს, რომელსაც მეზობელი ქვეყნები ჯერ-ჯერობით არ აღიარებენ. ტექსტს გთავაზობთ უცვლელად:

,,თბილისმა 3+3 პლატფორმასთან დაკავშირებული ყველა საფრთხის საპასუხოდ შესაბამისი სისტემური მექანიზმი უნდა შეიმუშაოს, რათა საკუთარი ეროვნული ინტერესის და რეგიონში თავისი როლის გათვალისწინებით, თავიდან აიცილოს მსგავს გაერთიანებებში შესვლა'' (სამხარაძე, 2022).

აქვე საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ უყურებენ ჩვენს გადაწყვეტილებას მეზობელი სახელმწიფოები. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე საქართველომ უარი განაცხადა, სახელმწიფო დროშა მაინც იყო წარმოდგენილი. ეს შესაძლოა მიუთითებდეს იმას, რომ მეზობელი სახელმწიფოებისთვის არსებობს კვლავ იმის „შესაძლებლობა", რომ საქართველო მართლაც დათმობს აღნიშნულ პოზიციას და ჩაერთვება 3+3 ფორმატში.

ზემოთ განხილულ ექსპერტთა ნააზრევზე დაყრდნობით შესაძლოა დავასკვნათ, რომ საქართველოსთვის 3+3 ფორმატი საფრთხის მომცველია საგარეო საკითხებში, რასაც მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკა და თავად ფორმატის მნიშვნელობა ადასტურებს. არსებობს რისკები, რომლებიც რუსეთთან თანამშრომლობის შემთხვევაში უარყოფით ზეგავლენას იქონიებს საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე.

მეორე საკითხი გახლავთ, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი შეიძლება იყოს თავად ფორმატის არსი. კავკასიის რეგიონში არსებობს მთელი რიგი დაპირისპირება და ურთიერთგამომრიცხავი

გარემოებები, რაც, რა თქმა უნდა, ართულებს თანამშრომლობას. უპირველეს ყოვლისა, რუსეთი და თურქეთი ითვლებიან კონკურენტებად სამხრეთ კავკასიის რეგიონში. დასკვნა კი შესაძლოა იყოს, რომ „რეგიონის დანარჩენი სამი სახელმწიფო ამ ორი კონკურენტი ქვეყნის კონკურენციის პლატფორმად მოგვევლინება'' (All news, 2021).

ამრიგად, რუსეთი მთლიანად ჩართულია 3+3 ფორმატში საქართველოს გასაწევრიანებლად და ზოგადად კავკასიის რეგიონში მედიატორის როლის შესრულების განსახორციელებლად. „ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების განბლოკვა"- ასე აღწერს ჩვენი მეზობელი ქვეყანა , რუსეთი საკუთარ გეგმებს , სადაც ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან როლს ჩვენი სახელმწიფოც უნდა ასრულებდეს.'' (კუნჭულია, 2021).

მეთოდოლოგია

მოცემული სტატია მეთოდოლოგიურად განეკუთვნება თვისებრივი კვლევის კატეგორიას. იმისთვის, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ და პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს, თუ რას წარმოადგენს 3+3 ფორმატი რუსეთისთვის, რა არის მისი რეალური ინტერესები და რა საფრთხეები დგას საქართველოს წინაშე აღნიშნულ ფორმატში გაწევრიანების შემთხვევაში.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს განვსაზღვროთ და წარმოვაჩინოთ 3+3 ფორმატის შექმნის ძირითადი, ოფიციალური მოტივები, საქართველოში არსებული რადიკალურად განსხვავებული მხარეები და რუსეთის ინტერესები საქართველოს ჭრილში. ნაშრომი წარმოადგენს სხვადასხვა სტატიებისა და წყაროების ანალიზს და მასში განხილულია კვლევის პროცესში ჩვენ მიერ გამოკვეთილი ორიგინალური მიგნებები და პროგნოზები. პარალელურად, წარმოჩენილია დარგის ექსპერტების მოსაზრებები და დამოკიდებულება 3+3 ფორმატთან დაკავშირებით.

მთავარი მიზნის მისაღწევად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოყენებულია, თვისებრივი კვლევის მეთოდი, კონკრეტულად კი, მეორეული წყაროების ანალიზი და კონკრეტული შემთხვევის შესწავლა. საკითხზე მუშაობისას გამოყენებულია ოფიციალური დოკუმენტები, წყაროები და ანგარიშები, რაც თემის გარშემო, საკმაოდ ნათელ და საინტერესო სურათს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ 3+3 ფორმატის შესახებ შექმნილი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელიც აერთიანებს განსხვავებულ წყაროებს და ცდილობს, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გარკვეული დასკვნები და მიგნებები შეიმუშავოს. ნაშრომის საწყის ეტაპზე წარმოჩენილია 3+3 ფორმატის შექმნის ძირითადი მიზეზები და მოტივები. ასევე განხილულია საქართველოში სხვადასხვა მხარის მოსაზრებები 3+3 ფორმატში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ხოლო დასკვნით ნაწილში საუბარია რუსეთის რეალურ ინტერესებსა და კვლევის ფარგლებში ჩვენ მიერ გამოკვეთილ ორიგინალურ მიგნებებსა და ვარაუდებზე.

3+3 ფორმატი და საქართველო: ქვეყანაში არსებული განსხვავებული პოზიციები და რუსეთის რეალური ინტერესები

3+3 ფორმატი პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს, როგორც საშინაო, ასევე საგერო პოლიტიკის მიმართულებებზე, ვინაიდან ფორმატი მოიაზრებს ისეთი სახელმწიფოების ჩართულობას, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის როგორც პარტნიორ, ასევე უმეტეს შემთხვევაში მეტოქე სახელმწიფოებს წარმოადგენს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია სწორი პოლიტიკური კურსით ლავირება, რადგანაც ფორმატი დაკავშირებულია ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებსაც ხშირად ჰეგემონურს, არასტაბილურსა და არადემოკრატიულს უწოდებენ. როგორც ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში არსებობს განსხვავებული პოზიციები და ინტერესები ფორმატის მიმართ, ასევე ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს რაიმე ერთიანი პოზიცია, რომელიც არჩეული იქნებოდა პოლიტიკურ სტრატეგიად. ოკუპანტ და არასტაბილურ პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა, საქართველოს მიერ ოფიციალურად აღიარებულ ინტერესებსა და საგარეო პოლიტიკურ კურსს არ ემთხვევა. საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელის, კორნელი კაკაჩიას თქმით, თუკი 3+3 ფორმატი გადაიზრდება 3+5 ფორმატში, ე.ი აღნიშნულ სახელმწიფოებს დაემატება ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი, მაშინ საქართველოს ინტერესები შეიცვლება ფორმატში მონაწილეობის კუთხით (კომერსანტი, 2021). აღნიშნულ აზრს გააჩნია, როგორც მომხრე ისე მოწინააღმდეგე მხარეები, რასაც ჩვენი კვლევის ფარგლებში სიღრმისეულად გავაანალიზებთ.

ჩვენი კვლევის შედეგად, გამოიკვეთა საქართველოში არსებული 3 ძირითადი მხარე, რომელთაც განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ საქართველოს ფორმატში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. პოლიტიკური კურსის განსხვავებულ გზებს ასახელებენ ერთი მხრივ ხელისუფლების და დარგის ექსპერტების წარმომადგენლები, ხოლო მეორე მხრივ - კრემლისტური პარტიები, კერძოდ, ,,პატრიოტთა ალიანსი'', ,,ევროპელი სოციალისტები'', ლევან ვასაძის კონსერვატული მოძრაობა და მასთან დაკავშირებული ,,ალტ ინფო''.

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებში არსებობს ერთიანი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 3+3 ფორმატი მიუღებელია ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისთვის, რის გამოც მას როგორც 3+2 -ს ისე მოიხსენიებენ. ისეთ სახელმწიფოსთან განსაკუთრებით, როგორიც რუსეთი გახლავთ თანამშრომლობა ნებისმიერი ტიპის ფორმატში სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. მეზობელი სახელმწიფოს ჰეგემონური ამბიციები მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოლიტიკისთვის იქნება საზიანო. რუსეთთან რაიმე სახის თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნისთვის მუდამ კრახით და ერთადერთი, სავალალო შედეგით სრულდებოდა, კერძოდ, ტერიტორიების მიტაცებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მტკიცე უარი განაცხადა დამპყრობელ და მისთვის არასაიმედო პარტნიორებთან თანამშრომლობაზე, 10 დეკემბერს მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ ,,საქართველოსთვის კარი ღია რჩება'', რასაც საქართველოში, როგორც ხელისუფლების წარმოამდგენელბის, ასევე სოციალური ქსელების მხრიდან, გაღიზიანების ტალღა მოჰყვა. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ევროპული ცენტრის უფროსი მეცნიერ-მკვლევარი თენგიზ ფხალაძე, აღნიშნულ მოვლენას კრემლის წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციად აფასებს და თვლის, რომ რუსეთს საქართველოში ვნებათაღელვის შემოტანა სურს (Accent news, 2021).

ფორმატიდან გამომდინარე საფრთხე კარგად იქნა შეფასებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, რომელმაც კატეგორიულად, ჩამოყალიბების პროცესშივე უარი განაცხადა მინიმალურ თანამშრომლობაზეც, რაც დადასტურდა შემდგომ ოფიციალურ შეხვედრებზე საქართველოს არ დასწრებით (Georgian Journal, 2021). ჩვენი მიგნებების თანახმად, ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული პოლიტიკის გატარება მიმართული იყო, საქართველოს როგორც დასავლეთისკენ მიმართული გეზის ხელის შემშლელი ფაქტორის, კერძოდ, 3+3 ფორმატის, განეიტრალება. არადემოკრატიულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა პირდაპირ იქნებოდა უარი დასავლეთზე, რაც სრულიად დაუცველ სამიზნედ გვაქცევდა აღმოსავლეთ რეგიონში. დარგის ექსპერტები ხელისუფლების პოზიციას იზიარებენ და თვლიან, რომ ყველაფერთან ერთად ცოტა ალოგიკურიც არის საქართველოს ჩართულობა ისეთ პროექტში, სადაც ჩვენ გვიწევს სტრატეგიულ საფრხთესთან, ანუ რუსეთის ფედერაციასთან ერთად საუბარი სტრატეგიულ პროექტებზე (აბაშიძე, 2021). საქართველოში დარგის ექსპერტებს და ხელისუფლებას საერთო პოზიციები გააჩნიათ ფორმატთან დაკავშირებით, რასაც პრორუსული ოპოზიციური პარტიები ეწინააღმდეგებიან და გარკვეულ წილად პოლარიზაციის უმთავრეს გარანტორებად ყალიბდებიან.

კრემლისტური პარტიები ერთხმად ეწინააღმდეგებიან არსებულ პოლიტიკას 3+3 ფორმატთან დაკავშირებით, რომელზეც ადვოკატირების სხვადასხვა გზას გვთავაზობენ. უპირვლეს ყოვლისა, მათი აზრით, ფორმატში თანამშრომლობაზე უარის თქმით ქვეყანა გადაიმტერებს რეგიონალურ მოთამაშეებს. ფორმატი საქართველოს დაეხმარება ეკონომიკურად, რაც ხელს არ შეუშლის დასავლეთთან ურთიერთობებს. ,,ალტ-ინფოს'' ეთერში პრორუსი წამყვანები ფორმატის როლის დადებითად წარმოჩენას ცდილობენ მაქსიმალურად და ამტკიცებენ, რომ ერთადერთი გეოპოლიტიკური ფუნქცია, რაც შეგვრჩენია ახლა, იმაზე უარის თქმით ისევ და ისევ ქვეყნის ინტერესები დაზარალდება (გიგაური, 2021). აღნიშნული პოლიტიკური კურსი მთლიანად რუსეთთან ურთიერთკავშირის ჩამოყალიბებისკენ არის მიმართული, რაც პირდაპირ სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება. კრემლისტური პარტიები ცდილობენ საქართველო გამოიყვანონ პოლიტიკურ ასპარეზზე, სადაც მას თანამშრომლობა მოუწევს ისეთ სახელმწიფოსთან, რომელსაც რეგიონში საკუთარი ინტერესები გააჩნია, რასაც მედიატორის როლის განხორციელებით აპირებს. ჩვენი სუვერენიტეტი კი აღიქმება ყველაზე დიდ გამოწვევად, რომელსაც შესაძლოა რუსეთთან ურთიერთობის დროს კიდევ უფრო დიდი საფრთხე შეექმნას. პრორუსული ოპოზიციური პარტიები აღნიშნულ რისკებს ვერ აცნობიერებენ და მეტიც ისინი თვლიან, რომ ჩვენი სახელმწიფოს სიჯიუტე ჩვენი მარცხით დასრულდება.

რუსეთის მიერ გამოვლენილმა ჰეგემონურმა ხასიათმა უკრაინის წინააღმდეგ საქართველოში მყოფ კრემლისტურ პარტიებს აზრი არ შეაცვლევინა. ისინი ინტენსიურად სოციალური ქსელების მეშვეობით ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების პოზიციას, რაც როგორც ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ასევე საგარეო ურთიერთობებზე აისახება უარყოფითად. განსაკუთრებით, „პატრიოტთა ალიანსი“ გვევლინება რუსეთთან თანამშორმლობის დაწყების ინიციატორად. პარტიის ლიდერები დიალოგისკენ მოუწოდებენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რასაც ხსიან იმ ფაქტით, რომ

მიუხედავად ამერიკის მიერ იაპონიის დაბომბვისა, მას ხელი არ შეუშლია ორ ქვეყანას შორის დიალოგის წარმოებისთვის (მითების დეტექტორი, 2017). სწორედ ეს ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ადასტურებს იმას, თუ რაოდენ განსხვავებული პოზიციები არსებობს 3+3 ფორმატთან დაკავშირებით. ხელისუფლების და დარგის ექსპერტთა პოლიტიკურ გზასთან წინააღმდეგობაში მოდის პრორუსული პარტიებისა და მედიის არგუმენტაცია, რომლებიც მზად არიან რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ, მიუხედავად იმ ძალიან დიდი კონფლიქტისა, რომლის წამომწყებიც რუსეთი გახლავთ. საკითხზე მუშაობისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს შეინარჩუნოს ნეიტრალური პოზიცია და როგორც მეზობელ, ასევე დასავლურ სახელმწიფოებთან საგარეო ურთიერთობები არ გაართულოს. ექსპერტები და მკვლევრები კი ყოვლად დაუშვებლად თვლიან საქართველოს მზაობას ფორმატში გასაწევრიანებლად და მოუწოდებენ ოფიციალურ თბილისს, რომ ,,მეტი ძალისხმევა მიმართოს ეროვნული ინტერესების დაცვისკენ, ხოლო ნაკლები - შიდა დაპირისპირებაზე, რომელიც დაუსრულებელ ციკლად იქცა ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში'' (Accent news, 2021).

3+3 ფორმატი, ცხადია, რომ არ წარმოადგენს თანაბარ პოლიტიკურ სუბიექტთა ერთობას, ვინაიდან მასში მოიაზრება მსოფლიოს ისეთი წამყვანი სახელმწიფოები, როგორებიცაა-რუსეთი, ირანი, თურქეთი და სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო. მაშასადამე, ერთ მხარესაა სამი მსხვილი რეგიონალური ძალა, მეორე მხარეს კი, სამი მცირე სახელმწიფო. სწორედ ეს განაპირობებს ფორმატის ასიმეტრიულობას და შესაბამისად მის მნიშვნელობას საქართველოსთვის აზრი ეკარგება (All news, 2021). აღსანიშნავია ისიც, რომ ფორმატის წევრი სამი მცირე სახელმწიფოდან ორს - სომხეთსა და აზერბაიჯანს ჰყავს „ქომაგები" რუსეთისა და თურქეთის სახით, რაც მოწმობს იმას, რომ საქართველოს ინტერესების განხორციელება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ცალსახაა ისიც, რომ ფორმატის ფარგლებში უპირატესობა მიენიჭება დომინანტი რეგიონალური აქტორების ინტერესებს და გავლენის სფეროებიც სწორედ ამ სამ ძლიერ სუბიექტს შორის გადანაწილდება. ზემოთ აღვნიშნეთ 3+3 ფორმატის შექმნის მიზეზები, გამოვკვეთეთ ისიც, თუ რა მიზნებს ისახავდნენ სახელმწიფოები ფორმატის ფარგლებში, თუმცა საინტერესოა, ვისაუბროთ, თუ რა არის რუსეთის რეალური ინტერესები და რა საფრთხეები ელოდება საქართველოს ფორმატში გაწევრიანების შემთხვევაში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთს სურს ზოგადად სამხრეთ კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით კი საქართველოში, აღადგინოს ძლიერი სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენა. რუსეთის ფედერაცია წლების განმავლობაში ცდილობდა, რომ სამხრეთ კავკასიის დერეფანზე გავლენა მოეპოვებინა ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან კავშირისთვის და შესაბამისად, აღნიშნული ფორმატის მეშვეობით, იგი აქტიურ სატრანსპორტო და ეკონომიკურ ზეგავლენას მოიპოვებს. კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ რუსული სამთავრობო მედიები სწორედ ამ კუთხით უწევდნენ 3+3 ფორმატს პროპაგანდას და აქტიურად მიუთითებდნენ მცირე თუ მასშტაბური რეგიონალური პროექტების წამოწყებაზე. „ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების განბლოკვა და ურთიერთსასარგებლო ინფრასტრუქტურული პროექტები სამხრეთ კავკასიაში" - ამგვარი

ფრაზებით ცდილობდნენ რუსული ტელეარხები ქვეყნის რეალური ინტერესების შენიღბვას (კუნჭულია, 2021). კვლევის შედეგად, ნათელი გახდა ისიც, რომ რუსეთის რეალური ინტერესი 3+3 ფორმატის საშუალებით საქართველოში ძლიერი ეკონომიკური ბერკეტების მოპოვება იყო, რაც შემდგომში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა საქართველოს სუვერენიტეტსა და ეკონომიკურ თავისუფლებას. უდავოა, რომ რუსეთს მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესი არ ამოძრავებდა აღნიშნული ფორმატისა და საქართველოს მიმართ. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს გეზი აქვს აღებული დასავლელი პარტნიორებისკენ და არის მცდელობები ქვეყანა გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. სწორედ აქ იკვეთება რუსეთის კიდევ ერთი ინტერესი, რომ 3+3 ფორმატის საშუალებით, საქართველო მაქსიმალურად ჩამოაშოროს დასავლელ და დემოკრატიულ პარტნიორებს (გიგაური, 2021). იმ პირობებში, როცა საქართველო მარტოდმარტო აღმოჩნდება არადემოკრატიული რეგიონალური ძალების წინაშე და მას ზურგს ვეღარ გაუმაგრებენ დასავლელი პარტნიორები, რუსეთს ბევრად გაუადვილდება საქართველოზე საკუთარი ზეგავლენის კიდევ უფრო გაძლიერება და სასურველი მასშტაბური პროექტების განხორციელება, ეს კი თავის მხრივ შეასუსტებს დასავლეთის ჩართულობასა და ქვეყნის ევროატლანტიკურ გეზს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფორმატის სამ მსხვილ რეგიონულ აქტორს - რუსეთს, თურქეთსა და ირანს, ამ შემთხვევაში აერთიანებთ საერთო ინტერესი - მაქსიმალურად დასავლური გავლენა და ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, კონკრეტულად კი საქართველოში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. ალბათ, ეს გასაკვირიც არ არის, ვინაიდან პრაქტიკულად აღნიშნული რეგიონული აქტორები დასავლეთთან სპეციფიკური ურთიერთობებით ხასიათდება. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ირანი და რუსეთი, რომლებიც დასავლეთის მხრიდან არა ერთხელ ყოფილან სანქციების სამიზნე.

კვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ რუსეთი საკუთარი რეალური ინტერესების განხორციელებას საქართველოსა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის მიმართ სწორედ აღნიშნული ფორმატის საშუალებით ეცდებოდა, თუმცა არა პირდაპირ და გაცხადებულად, არამედ შეფარვით. ოკუპანტი სახელმწიფო ცდილობს, მთელი თავისი პროპაგანდისტული საშუალებებით, 3+3 ფორმატის სარგებლიანობა დაანახოს კავკასიის რეგიონს და რა თქმა უნდა, საქართველოს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა, არა ერთხელ ახსენა და მოისაზრა საქართველო აღნიშნული ფორმატის წევრად: „მიმაჩნია, რომ ეს პლატფორმა სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ სომხეთსა და აზერბაიჯანს, არამედ საქართველოსაც“ - განაცხადა მან ერთ-ერთი პრესკონფერენციისას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსეთს სურს მოირგოს მშვიდობისმყოფელისა და მედიატორის როლი, რაც საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ მარტივად შენიღბოს საკუთარი მისწრაფებები, მეორე მხრივ კი, ამ პოზიციით ისარგებლოს და გააძლიეროს ეკონომიკურ-პოლიტიკური ზეგავლენა არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ მთლიანად, კავკასიის რეგიონზე (Bne IntelliNews, 2021).

მნიშვნელოვანია ვისაუბროთ იმ კონკრეტულ საფრთხეებზე, რაც საქართველოს ელის 3+3 ფორმატში გაწევრიანების შემთხვევაში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ თუკი საქართველო გაწევრიანდება 3+3 ფორმატში, ეს ავტომატურად გულისხმობს რუსეთთან, ოკუპანტ სახელმწიფოსთან,

ურთიერთობების გარკვეული დოზით მაინც აღდგენას. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ სწორედ რუსეთი მიიჩნევს თავს აღნიშნული ფორმატის ერთ-ერთ ლიდერად და ამაზე პრეტენზიას ღიადაც აფიქსირებს (კუნჭულია, 2021). ოფიციალურ თბილისს 2008 წლის მოვლენების შემდგომ ოფიციალურ მოსკოვთან ურთიერთობები გაწყვეტილი აქვს, აქედან გამომდინარე, გაწევრიანება იმ ფორმატში, რომლის ერთ-ერთ მთავარ აქტორად რუსეთი გვევლინება, საქართველოს მხრიდან სუვერენიტეტისთვის ბრძოლის დათმობადაც შეიძლება შევაფასოთ. საინტერესოა, ყურადღება გავამახვილოთ ფორმატის სამ მსხვილ აქტორზე: რუსეთზე, თურქეთსა და ირანზე. საქართველოს ფორმატში გაწევრიანების შემთხვევაში, გარდაუვალი იქნებოდა მათთან ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა სახის კავშირები. აქვე საინტერესოა განვსაზღვროთ, რამდენად სანდო და სტაბილური პარტნიორები არიან აღნიშნული აქტორები?

ნათელია, რომ ფორმატის წევრები ძირითადად არადემოკრატიული, ჰიბრიდული რეჟიმის სახელმწიფოები გახლავთ. ამას მოწმობს საერთაშორისო ორგანიზაციის „Fredoom House" - ის დემოკრატიის ინდექსის მაჩვენებელი. საყურადღებოა, რომ 2022 წლის განახლებული მონაცემებით, ფორმატის წევრებიდან რუსეთი (რეიტინგი - 1,32, ავტორიტარული რეჟიმი), თურქეთი და ირანი დემოკრატიის ძალზე დაბალი ინდექსით ხასიათდება. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის სახელმწფოებს, სომხეთი ჰიბრიდულ რეჟიმს წარმოადგენს (რეიტინგი 3,04), ხოლო აზერბაიჯანი - კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმს(რეიტინგი - 1,07) (Freedom house, 2022). ცხადია, რომ მსგავსი ტიპის ქვეყნებთან ეკონომიკური ან სხვა სახის მუდმივი ურთიერთობების დამყარება საქართველოსთვის ძალზე სახიფათო და სარისკოა. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს გაცხადებული აქვს ევროპული და ევროატლანტიკური კურსი უსაფრთხოების, ეკონომიკური სტაბილურობისა და დემოკრატიული სისტემის მისაღწევად, მსგავს, არასაიმედო ქვეყნებთან ურთიერთობა, მას აშკარად საფრთხეს შეუქმნის. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ რუსეთიც და ირანიც არა ერთხელ არის სანქცირებული საქართველოს სტრარეგიული პარტნიორის, აშშ-ის მიერ და შესაბამისად მათთან, როგორც არასტაბილურ და არასანდო პარტნიორებთან ურთიერთობა, მხოლოდ და მხოლოდ დააზიანებს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას. კვლევამ ცხადყო, რომ ფორმატში მონაწილე სამივე მსხვილ ძალას საკუთარი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები გააჩნიათ, შესაბამისად ფორმატიც, ძირითადად, მათი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ იქნება მიმართული. მაგალითისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფანი იზიდავს, თავის მხრივ, ირანი ეკონომიკური დეიზოლაციის მიღწევისთვის იბრძვის, ხოლო თურქეთისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონი გზაგამტარია კასპიის ზღვის აუზის სახელმწიფოებთან დასაკავშირებლად. მაშასადამე, ცხადია, რომ მსხვილი ძალების მიერ მათთვის რელევანტური მისწრაფებების დაკმაყოფილებისას, საქართველოს, როგორც მცირე სახელმწიფოს ინტერესები უგულებელყოფილი იქნებოდა (კომერსანტი, 2021).

საკითხზე მუშაობისას არა ერთხელ გამოიკვეთა, რომ 3+3 ფორმატის ასიმეტრიული ბუნება და მსხვილი რეგიონალური, არადემოკრატიული და არასანდო აქტორები საქართველოს

სუვერენიტეტს, უსაფრთხოებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას მართლაც შეუქმნის საფრთხეს, რომლის გამომწვევი მიზეზები ზემოთ უკვე დეტალურად განვიხილეთ.

დასკვნა

3+3 ფორმატი დღემდე ჩამოყალიბების პროცესშია, კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და გადამწყვეტი შეხვედრები სახელმწიფოებს შორის, რაც დღემდე აღნიშნული თემის აქტუალობასა და მნიშვნელობას განაპირობებს. 2020 წლის ნოემბრიდან მოყოლებული ფორმატის წამყვანი, მსხვილი ძალები ცდილობენ პროექტის იდეები შენიღბონ და მსოფლიოს წარუდგინონ, როგორც მათთვისვე სასიკეთო და სასარგებლო.

კვლევამ აჩვენა, რომ ისეთი წამყვანი სახელმწიფოები, როგორებიცაა-ირანი, თურქეთი და რუსეთი, აღნიშნულ ფორმატს სწორედ საკუთარი ინტერესების რეალიზებისთვის იყენებენ და მათი დაჟინებული მცდელობა, სამუშაო პროცესში აქტიურად ჩართონ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ნათელია, რომ 3+3 ფორმატი მართლაც გამოწვევად იქცა საქართველოსთვის. ფორმატის იდეის პირველივე დღიდან საქართველოში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, გამოიკვეთა კონტრასტული მხარეები. ერთი მხრივ, რუსული იდეების მატარებელი „ალტ-ინფო" ტირაჟირებდა და პროპაგანდას უწევდა საქართველოს 3+3 ფორმატში გაწევრიანებას, მეორე მხრივ, დარგის ექსპერტები, რომლებიც გამუდმებით მიუთითებდნენ იმ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, რაც პროექტში გაწევრიანებას მოჰყვებოდა. გადამწყვეტი სწორედ ხელისუფლების პოზიცია აღმოჩნდა, რომლის მიხედვითაც 2020წ -დან დღემდე საქართველო არ ესწრება ფორმატის ოფიციალურ შეხვედრებს და შესაბამისად მის წევრად არ განიხილება.

საკითხზე მუშაობისას ნათელი გახდა, რომ რუსეთის ზრახვები და ინტერესები ფორმატის ფარგლებში საქართველოსკენ იყო მიმართული. ცხადია, რომ მას ფორმატის მეშვეობით სურდა კავკასიის რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტების გაძლიერება და რაც მთავარია, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანიდან გადახვევა, რაც გაუადვილებს მას საკუთარი მიზნების განხორციელებას. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ფორმატის არსებობა და მომავალიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ხასიათდება ასიმეტრიულობის მაღალი ხარისხით, ვინაიდან მსხვილი აქტორების ინტერესები აუცილებლად გადაჩრდილავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებს, მეორე მხრივ კი, თავად მსხვილ სახელმწიფოებს შორის გავლენების გადანაწილებაც, ვფიქრობთ, რომ მთელ რიგ უთანხმოებებთან იქნება დაკავშირებული.

ამდენად, ჩვენი კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველო ფორმატში გაწევრიანების შემთხვევაში მართლაც არაერთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. საკითხზე მუშაობისას გამოყოფილი მთელი რიგი პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ 3+3 ფორმატის, როგორც პოლიტიკური ერთობის იდეის რეალიზება არარეალურია. პოლიტიკური ფაქტორების გარდა, არსებობს სხვა განზომილებებიც, რომლებიც გავლენას ახდენს აღნიშნული იდეის მდგრადობაზე, თუმცა მოცემული ნაშრომის შეზღუდული კვლევითი ფოკუსიდან გამომდინარე

არ მოხდა სახელმწიფოთაშორისი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა სახის ურთიერთობების და მიმდინარე პრაქტიკული პროცესების შესწავლა.

ბიბლიოგრაფია

Accent news. (2021). "3+3"-ის ნაცვლად „3+2": პროვოკაციები პირველივე შეხვედრაზე, რა იქნება შემდეგ?

https://accentnews.ge/ka/article/52674-33-is-nacvlad-32-provokaciebi-pirvelive-shex?fbclid=IwAR267oHy68bEnlONHAfPynRgUVwcnInhoPJutDct9kYBLHSq239L3sfTBGM

All News. (2021). "3+3 ფორმატი" - რა ინტერესი აქვს 3 რეგიონალურ „ვეშაპს" სამხრეთ კავკასიაში და რატომ არ არის საქართველოს ადგილი ერდოღანის ინიცირებულ პროექტში?

https://www.allnews.ge/politika/168353-33-pormati-ra-interesi-akvs-3-regionalur-veshaps-samxret-kavkasiashi-da-ratom-ar-aris-sakartvelos-adgili-erdoganis-inicirebul-proektshi/?fbclid=IwAR1AHibPaHnmsS0a_GT62Vra6FumyaKxcy7tJncRMZZGcmT03Ckq9WNEelw

Bne IntelliNews. (2021, October 6). Russia proposes "3+3" format to unlock economic and transport communications in Caucasus.

https://www.intellinews.com/russia-proposes-3-3-format-to-unlock-economic-and-transport-communications-in-caucasus-222935/?fbclid=IwAR267oHy68bEnlONHAfPynRgUVwcnInhoPJutDct9kYBLHSq239L3sfTBGM

Coffey, L. (2021, November 9). The 3+3 format in the South Caucasus doesn't add up. https://www.mei.edu/publications/33-format-south-caucasus-doesnt-add?fbclid=IwAR398wjvpoxz3Kbfxd4H7miXAPFBsdmL4RR0_p-xI4n5FKQFKd1huOgA9q8

Freedom House. (2022). Countries and territories. https://freedomhouse.org/countries/freedom-world/scores

Georgian Journal. (2021, 10 December). Georgia oficially rejects 3+3 format. https://georgianjournal.ge/politics/37559-georgia-officially-rejects-33-format.html

Hurriyet Daily News. (2021, January 29). Turkey, Iran propose 3+3 format for Caucasus. https://www.hurriyetdailynews.com/ankara-hopes-us-returns-to-iran-nuclear-deal-162018?fbclid=IwAR3bgUPkwFrif5DK_5q1I6vYjQsyiUoi86mD0YE5Fo5teYprgrlJFLh74IQ

Iskandarov, K, Nasirov, E, Sadiyev, S. (2017). The South Caucasus: A playground Between NATO and Russia?

https://www.jstor.org/stable/26867919?seq=6#metadata_info_tab_contents

Shaffer, B. (2009). The Geopolitics of the Caucasus.

https://www.jstor.org/stable/24590847?read-now=1&refreqid=excelsior%3Ac2087839830ffd48e4d343a1392cc95c&seq=5#page_scan_tab_contents

ბუეზინსკი, ზ. (2014) დიდი საჭადრაკო დაფა, გამომცემლობა არტანუჯი.

https://www.academia.edu/34743117/%E1%83%96%E1%83%91%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%95_%E1%83%91%E1%83%9F%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%90

გიგაური, ს. (2021, 18 ოქტომბერი). ვინ უწევს ადვოკატირებას „3+3“ ფორმატს და რა საფრთხეებს შეიცავს იგი საქართველოსთვის?

https://mythdetector.ge/ka/vin-utsevs-advokatirebas-3-3-phormats-da-ra-saphrthkheebs-sheitsavs-igi-saqarthvelosthvis/?fbclid=IwAR3CQxIJuEGp5rZFSsxe4yPTxbDhqtyK4lZK_Fnjq_RZkOQXHuCSDoNizKg

კომერსანტი. (2021). რა არის 3+3 ფორმატი და რატომ არ აწყობს ის საქართველოს. https://commersant.ge/ge/post/ra-aris-33-formati-da-ratom-ar-awyobs-is-saqartvelos

კუნჭულია, ლ. (2021, 6 ნოემბერი). 3+3-ის რუსული მიზნები და საქართველოს ჩართვის იმედები. https://www.radiotavisupleba.ge/a/31548071.html

მითების დეტექტორი. (2017, 10 ოქტომბერი). რუსეთთან პირდაპირი დიალოგის რისკები.

https://mythdetector.ge/ka/rusethhan-pirdapiri-dialogis-riskebi/?fbclid=IwAR0z5snsaVSDJcKxKlQnDqOkjsh5lnWIaeelT9ue--Vof-IGJAC0dQVUdlk

პერტაია, ლ. (2021, 16 დეკემბერი). „საქართველოს მმართველობის ინდექსი“ - რა გამოწვევების წინაშეა სახელმწიფო. https://netgazeti.ge/news/582335/?fbclid=IwAR0thO7QZzF85GK6tqinuUBfSJpLNMAvmiCMOHsrf8-N9wkeYq_k_JyPxFY

სამხარაძე, ნ. (2022, იანვარი). 3+3 ერთის გარეშე: საქართველოს სამხრეთ კავკასიური გამოწვევები და პერსპექტივები.

https://gip.ge/ka/publication-post/jjgggg/